პირველადი ჯანდაცვის განვითარების ზოგადი მიმოხილვა

2020-2023

საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის მიერ 2020-2023 წლებში განხორციელებული აქტივობები:

1. **2020 წელი**

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის (**გლობალური ფონდის)** დაფინანსებით განხორციელდა პროექტი „SARS–CoV-2 (COVID-19) ინფექციაზე საეჭვო შემთხვევების პირველად ჯანდაცვაში მართვის ხელშეწყობა“.
აღნიშნული პროექტის ფარგლებში, 2020 წლის აპრილ-ივნისში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შემუშავდა და დამტკიცდა: „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციაზე (COVID-19) საეჭვო შემთხვევის მართვა პირველად ჯანდაცვაში“ პროტოკოლი (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით № 01-135/ო 30 მარტი).
- **შემუშავდა ელექტრონული სასწავლო მოდული/ სასწავლო მასალები** (მ.შ. დამხმარე ინსტრუმენტები - სატელეფონო ტრიაჟის პროტოკოლი; კითხვარი ჩეკ-ლისტი); პაციენტის თვითშეფასების კითხვარი და სხვ.). სწავლებისას, განხილულ იქნა „პირველად ჯანდაცვაში COVID-19-ზე საეჭვო შემთხვევის მართვის“ პროტოკოლის რეკომენდაციები, პანდემიის პირობებში პირველადი ჯანდაცვის მუშაობის ძირითადი პრინციპები, რაც გულისხმობს (1) საეჭვო შემთხვევის დროულ იდენტიფიცირებას; (2) ინფექციის პრევენციისა და კონტროლის წესების ზედმიწევნით დაცვას; (3) სოციალურ დისტანცირებას; (4) პაციენტთა განათლებას და (5) პირველადი ჯანდაცვის ფუნდამენტური - პრევენციული და რუტინული მეთვალყურეობის სერვისების, დისტანციურად უსაფრთხო განხორციელებას.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით სასწავლო კურსის ტრენინგისთვის გამოიყო ვებინარი, რომლის მეშვეობითაც ჩატარდა ლექციები დისტანციურად.
- გადამზადდა ჩაუტარდა პჯდ პროვაიდერებს 2500 მეტ ოჯახის ექიმს, რომელიც გაგრძელდა უწყვეტ რეჟიმში, რომელიც შემდეგ გაფართოვდა ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით და მოიცვა ყველა ქალაქის, რაიონული ცენტრების, სოფლის ამბულატორიის, სადაზღვევო კომპანიების პჯდ სამედიცინო პერსონალი.

- 112-ის სისტემაში ჩართულ ონლაინ-კლინიკებთან ამ პერიოდის მანძილზე (პირველ კვირაში ყოველდღიურად, ხოლო დანარჩენ კვირეებში სულ მცირე, 1 ჯერ კვირაში) განხორციელდა სუპერვიზიის რეგულარული ონლაინ შეხვედრები.
- განსაკუთრებული ყურადღება იქნა გამახვილებული 112-ში ჩართული კომპანიების სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასებასა და აღნიშნული სერვისის თვისობრივ მონიტორინგზე.
- სატელეფონო კონსულტაციების ხარისხის ობიექტური შეფასების მიზნით განხორციელდა შემფასებლების ტრენინგი, რომლის მიზანიც იყო ერთიანი სტანდარტული დონის მიღწევა.
- ჩატარდა 112-ის სერვისში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების განმეორებითი შეფასება, იგივე ინსტრუმენტების გამოყენებით ივნისის დასაწყისში **განხორციელდა 112-ის სისტემაში ჩართულ ონლაინ-კლინიკებში.**
- გარე კონტროლის ანგარიში წარედგინა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს.

2. 2020 წელი

ასოციაციამ, კომპანია „საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრთან“ მჭიდრო თანამშრომლობით და ჯანმო-ს მხარდაჭერით (World Health Organization Country Office, Georgia To support COVID-19 training of PHC providers in Georgia), განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- განახლდა და დამტკიცდა ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) მსუბუქი შემთხვევების მართვა ბინაზე“ – პროტოკოლი

- პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო პერსონალის COVID-19 პანდემიაზე ეფექტური რეაგირების და აღნიშნული პროტოკოლების დანერგვის და ადგილებზე უწყვეტი განთლების რესურსების გაძლიერების მიზნით, გადამზადდა 118 ტრენერი თბილისსა და რეგიონებიდან, პირისპირ, არადისტანციურ რეჟიმში, რომელთა მიერ განხორციელდა 1300-ზე მეტი ოჯახის ექიმის გადამზადება.
- განხორციელდა პირველადი ჯანდაცვის სერვისის მიმწოდებლების პერსონალური და ორგანიზაციული შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერა და ქსელების განვითარება, პჯდ-ს შემდგომი დამკვიდრების და განმტკიცების მიზნით; ასევე, ლოკალურად, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მონიტორინგისა და ევალუაციის /ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების შემუშავება და დანერგვა:
    - ✓ პირველად ჯანდაცვაში COVID-19 შემთხვევების ტრიაჟის, ბინაზე მონიტორინგისა და პოსტ მწვავე COVID-19 პაციენტების სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესების გეგმის შემუშავება და მისი

განხორციელების ორგანიზება სპეციალურად შერჩეულ 10 პჯდ დაწესებულებებში;

- ✓ აღნიშნული გეგმის საფუძველზე კლინიკური აუდიტის კრიტერიუმების შემუშავება, რომელთა საფუძველზეც მოხდა სამედიცინო დახმარების ხარისხის შეფასება, საჭიროების შემთხვევაში, რე-აუდიტის (განმეორებითი) ჩატარება;
- ✓ 112-ის სამსახურთან ერთად COVID-19-ის მართვაში ჩართული, კომპანიის სურვილის გათვალისწინებით შერჩეულ, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში დასაქმებული ექიმებისთვის, განახლებული ინფორმაციის მიწოდება და მიმდინარე მხარდაჭერა, სატელეფონო კონსულტაციების ხარისხის უზრუნველყოფის ინსტრუმენტების დანერგვა და ხარისხის კონტროლის განხორციელება
- ✓ საპილოტე დაწესებულებებიდან ანგარიშების მომზადება და რეკომენდაციების წარდგენა ჯანდაცვის სამინისტროსთვის სამედიცინო დახმარების ხარისხის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

3. **2020 წელი**

ასოციაცია, საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჯანმოს დაფინანსებით, აქტიურად მონაწილეობდა პროექტში „საქართველოში ჯანდაცვის ჯანდაცვის სერვისის პაკეტის გადახედვისა და განფასების ხელშეწყობა“:

To support revision and costing of the PHC service package in Georgia - Project: EUGEO2016465 Tasks: 1.2 and 13.2 Award: 68999 - 2020

World Health Organization Country Office, Georgia - To support refining of the PHC service packages and costing model and development of PHC implementation roadmap in Georgia – 2020

4. **2020 წელი**

ასოციაციამ, საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტთან მჭიდრო თანამშრომლობით, დანიის მთავრობისა და ჯანმოს დაფინანსებით (Strengthening the management of diabetes and hypertension in primary healthcare – 2020), ჩაატარა არტერიული ჰიპერტენზიისა და ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის სამედიცინო აუდიტი საქართველოს 3 დაწესებულებაში, რის საფუძველზეც შემუშავდა ძირითადი და მიღწევადი ინდიკატორები პჯდ-ში გულ- სძ სისტემის დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის მართვის მონიტორინგის მიზნით.

5. **2020-2021წწ**

2020-2021 წელს, ასოციაციამ, საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჯანმოს დაფინანსებით, დაიწყო გადამზადება ქრონიკული დაავადებების მართვის მოდელის შესაქმნელად გავრცელებული მდგომარეობების- ჰიპერტენზიისა და დიაბეტის მაგალითზე.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში (Strengthening the management of diabetes and hypertension in primary healthcare – 2020-2021), განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

1. დასწრება საერთაშორისო ვებინარებზე - დიაბეტით დაავადებულთა ინსტრუმენტების დანერგვისა და ქვეყნის გამოცდილების გაცვლის შესახებ თემებზე: დიაბეტური რეტინოპათიაზე სკრინინგი, თერაპიული განათლება და სხვ.;
2. განახლებული და დამტკიცებული ეროვნული პროტოკოლების ჩამოყალიბდა არტერიული ჰიპერტენზიისა და ტ2 დიაბეტის მართვის გაუმჯობესების მიზნით 20 გზამკვლევი, რომელიც დაურიგდა პჯდ-ს 95 პჯდ მომსახურების მიმწოდებელ დაწესებულებას;
3. წინასწარ შემუშავებული მულტიდისციპლინური სასწავლო გეგმისა და სასწავლო მასალების მასალების, დამტკიცებული კლინიკური პროტოკოლების, ალგორითმების და გზამკვლევების შესაბამისად, განხორციელდა ტრენინგები ოჯახის ექიმებისთვის/პჯდ ექთნებისთვის/პჯდ მენეჯერებისთვის (78 მონაწილე);
4. ასევე, შეიქმნა სასწავლო მასალები, შაქრიანი დიაბეტით პაციენტების განათლების მიზნით;
5. ითარგმნა დიაბეტური რეტინოპათიის სკრინინგის სახელმძღვანელო, რომელიც ასევე, გაზიარებული იქნა ყველა, პჯდ პროვაიდერთან.
6. შემუშავდა ძირითადი და მიღწევადი ინდიკატორები პჯდ-ში გულ- სძ სისტემის დაავადებების, შაქრიანი დიაბეტის, ფქოდი-ს და ასთმის მართვის მონიტორინგის მიზნით;
7. 16 დაწესებულებიდან მომზადდა 48 ტრენერი სამედიცინო აუდიტის მიმოხილვისა და ინტერპრეტაციის მიზნით, დიაბეტისა და ჰიპერტენზიის მართვის საკითხებზე (პაციენტის ჩანაწერების მიმოხილვა, სპეციფიკური მონაცემების ამოღება და სტანდარტიზებული ფორმებით შეგროვებული მონაცემების რეგისტრაცია);
8. მრჩეველთა საბჭოს აუდიტორების ზედამხედველობით, ჩატარდა ტიპი 2 შაქრიანი დიაბეტის სამედიცინო აუდიტი საქართველოს 9 დაწესებულებაში;
9. 2021 წლის 27ივლისის პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული სასწავლო პროგრამა (#0277 - მიენიჭა I ტიპის 12 ქულა) „არტერიული

ჰიპერტენზიისა და შაქრიანი დიაბეტის მართვის გაუმჯობესება პირველად ჯანდაცვაში“.

10. და სხვ.

6. 2020 -2021 წწ

ასოციაციის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმოს) საქართველოს ოფისთან მჭიდრო თანამშრომლობით და პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) პერსონალის გაძლიერების და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების ინტეგრაციის მიზნით პჯდ-ში - მომზადდა ჯანდაცვის სამინისტროსთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, წინასწარ შერჩეული ოჯახის ექიმი-ტრენერების ჯგუფი.
ტრენინგების დროს გამოყენებული იყო ჯანმოს mhGAP საინტერვენციო გაიდი, როგორც ზოგადი ჩარჩო და კოვიდ -19 თან დაკავშირებული ჯანმოს და გაეროს სხვა დოკუმენტები - სამუშაო პრინციპების და სტანდარტების შესახებ, პანდემიის კონტექსტში.

7. 2021 წელი

ასოციაციის თანამშრომლობით ევროკავშირისა (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით განხორციელებული პროექტის ფარგლებში - პირველადი ჯანდაცვის პერსონალის გაძლიერება ბავშვთა და მოზარდთა ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების შეფასება-მართვაში - თბილისსა და რეგიონებში, ჯანდაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით, წინასწარ შერჩეული პჯდ ტრენერების მომზადება და აღნიშნულ თემებზე სხვა პჯდ პერსონალის მზადება.

8. 2022 წელი

ასოციაცია, საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჯანმოს დაფინანსებით, აქტიურად მონაწილეობდა პროექტში World Health Organization Country Office, Georgia - To support refining of the PHC service packages and costing model and development of PHC implementation roadmap in Georgia – 2022) „პირველადი ჯანდაცვის სერვისების პაკეტებისა და ხარჯების მოდელის განვითარების ხელშეწყობა და საქართველოში ჯანდაცვის ჯანმრთელობის დანერგვის საგზაო რუქის შემუშავება“

9. 2022 წელი

საქართველოს საოჯახო მედიცინის ასოციაციის მიერ „ცხოვრების ჯანსაღი დასაწყისი“ პროექტის ფარგლებში, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF Georgia) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები - „0-2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების პრაქტიკა საქართველოში“ - სიტუაციური ანალიზი და ეკონომიკური ანალიზი, 0-2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების შეფასების ეროვნული ინდიკატორების, გაიდლაინების, პროტოკოლების, საგანმანათლებლო მასალების, ონლაინ და სხვა აკრედიტებული კურსების შემუშავება-დანერგვა და სხვ. ესენია:

2022 წლის განმავლობაში, „ცხოვრების ჯანსაღი დასაწყისი“ პროექტის ფარგლებში, საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის მიერ, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF-ის) ფინანსური მხარდაჭერით, განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ჩატარდა 0-2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების პრაქტიკა საქართველოში/სიტუაციური ანალიზი
- შემუშავდა ძუძუთი კვების ინდიკატორების ნაკრები
- შემუშავდა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 12/12/2022 წლის ბრძანებით № MOH – 0 22 00000213, დამტკიცდა შემდეგი კლინიკური მდგომარეობების მართვის ეროვნული რეკომენდაციები (გაიდლაინი) და კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტები (პროტოკოლი):
  a) „ 2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვება“ - კლინიკური მდგომარეობების მართვის ეროვნული რეკომენდაციები (გაიდლაინი)
  b) „2 წლამდე ასაკის ბავშვთა ოპტიმალური კვების პრინციპები პირველად ჯანდაცვაში“ პროტოკოლი
  c) „35 და მეტი გესტაციის ახალშობილთა ძუძუთი კვება სამშობიაროში“ - პროტოკოლი
  d) პაციენტის საგანმანათლებლო მასალა - 2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვება
- შემუშავებული იქნა 2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების მ.შ. ძუძუთი კვების ინდიკატორები - ყველა დონისთვის
- „2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების სასწავლო კურსი ჯანდაცვის სპეციალისტებისთვის“ - ტრენინგის ვებ-ზე დაფუძნებული ონლაინ ვერსიის შემუშავება და განთავსება შემდეგ მისამართზე: https://learn.ncdc.ge/course/index.php?categoryid=11
- შემუშავდა და დაინერგა 2022 წლის 25 ნოემბერს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული სასწავლო „2 წლამდე ასაკის ბავშვთა ოპტიმალური კვების პრაქტიკა“ პროგრამა (#0420 - მიენიჭა I ტიპის 12 ქულა)
- და სხვ.

10. 2022 წელი

ასოციაცია, საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჯანმოს დაფინანსებით, აქტიურად მონაწილეობდა პროექტში „პირველადი ჯანდაცვის პერსონალის ტრენინგი იმუნიზაციისა და ვაქცინის კომუნიკაციაში, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 3000-ზე მეტი პჯდ პერსონალი - ექიმი/ექთანი.

11. 2022 წელი

პროტოკოლები თამბაქოსა და ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა მავნედ მოხმარების გამოვლენასა და ინტერვენციებზე პირველად ჯანდაცვაში

საქართველოს მთავრობა მიზნად ისახავს საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და სამედიცინო მომსახურების მიწოდების ეფექტიანობის ზრდას პირველადი ჯანდაცვის სისტემის გაძლიერების გზით.

ამ მიზნის მისაღწევად, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მხარდაჭერით და ადგილობრივი ექსპერტების აქტიური მონაწილეობით შემუშავდა პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის გზამკვლევი, რომელიც ეფუძნება პირველადი ჯანდაცვის სერვისების ხელმისაწვდომობის და დაავადებების პრევენციის, ჯანმრთელობის ხელშეწყობის და დაავადებების მართვის სისტემების გაძლიერებას. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის აქტიური მხარდაჭერით იწყებს პირველადი ჯანდაცვის რეფორმის განხორციელებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში განსაკუთრებით გამოიკვეთა პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების მნიშვნელობა პრევენციული მიმართულებით (როგორიცაა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მომხმარებელთა გამოვლენა, კონსულტირება და ადეკვატური რეფერალი) და ამ კუთხით სამედიცინო პერსონალის მოტივაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერების საჭიროება.

ამ საჭიროებებს ზუსტად ეხმიანებოდა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტი (ევროკავშირის საგარეო საქმიანობათა საგრანტო ხელშეკრულება #ENI/2021/429-043-ის საფუძველზე) „სამოქალაქო საზოგადოებისა და პროფესიული ორგანიზაციების გაძლიერება საქართველოში უსაფრთხო, დაცული და ანგარიშვალდებული საზოგადოების უზრუნველყოფის მიზნით“ (Empowering civil society and professional organizations to ensure safe, secure and accountable society in Georgia – CPR პროექტი), რომლის ფარგლებშიც საოჯახო მედიცინის ასოციაციისა და შესაბამისი სფეროს ექსპერტების აქტიური თანამშრომლობით მომზადდა და დამტკიცდა სამი ეროვნული პროტოკოლი (დაავადების მართვის სახელმწიფო სტანდარტი) და ინფორმაცია პაციენტებისთვის. ეს დოკუმენტებია:

1. **ალკოჰოლის, თამბაქოს და სხვა ნივთიერებების მოხმარების გამოვლენა და ხანმოკლე ინტერვენციები პირველად ჯანდაცვაში, ASSIST ინსტრუმენტის გამოყენებით** - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 02/02/2023 წლის ბრძანება № MOH 2 23 00000043-ით: https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2023/02/03/2693296ecc9656bd85177330b363ded3.pdf

ალკოჰოლის საზიანოდ მოხმარების გამოვლენა და ხანმოკლე ინტერვენციები პირველად ჯანდაცვაში, AUDIT ინსტრუმენტის გამოყენებით - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 02/02/2023 წლის ბრძანება № MOH 2 23 00000043-ით:

1. https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2023/02/03/c4bc72d50188ab6d5d6ca5f3ceb7c14d.pdf
2. **პირველად ჯანდაცვაში ნივთიერებათა საზიანოდ მოხმარების გამოვლენა და მართვა, SBIRT ინსტრუმენტის გამოყენებით** - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტი (პროტოკოლი), დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 02/02/2023 წლის ბრძანება № MOH 2 23 00000043-ით: https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2023/02/03/69663dbfd5a2ce9cc4a4568ac869ed55.pdf
3. **რას ნიშნავს ნივთიერებათა სარისკო მოხმარება და როგორ გავუმკლავდეთ პრობლემას** - ინფორმაცია პაციენტებისთვის, დამტკიცებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 02/02/2023 წლის ბრძანება № MOH 2 23 00000043-ით: https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2023/02/03/61dfbb597dc8c5285b89b8fad2d5259b.pdf

აღნიშნული დოკუმენტები გაიდლაინების ეროვნული საბჭოს წარედგინა და დამტკიცდა 2022 წლის ოქტომბერში, ხოლო მინისტრის ბრძანების საფუძველზე (https://www.moh.gov.ge/uploads/guidelines/2023/02/03/ceadc1f5973fc7971b14ad67a0fa4655.pdf) ჯანდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდზე აიტვირთა 2023 წლის თებერვალში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროტოკოლებს ახლავს პაციენტთა საგანმანათლებლო მასალაც, რომელიც ხელს შეუწყობს კომუნიკაციის გაუმჯობესებას პჯდ პერსონალსა და პაციენტებს შორის და მოსახლეობის ინფორმირებულობის ამაღლებას. მიმდინარეობს მუშაობა, ასევე, პროტოკოლებთან სინქრონიზებულ გზამკვლევების შემუშავებაზე.

პროტოკოლების პრაქტიკული იმპლემენტაციის პროცესი უკვე განხორციელდა საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრის ბაზაზე, კერძოდ პროტოკოლებში განხილული სკრინინგული კითხვარების ინტეგრაცია მოხდა ელექტრონულ სამედიცინო ისტორიებში, სამედიცინო პერსონალი რუტინულად ატარებს ნივთიერებათა მავნედ მოხმარების სკრინინგს და აწარმოებს შესაბამის რეფერალს საჭიროების შემთხვევაში,

დაწესებულებაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, ვინც ახორციელებს მონიტორინგს სკრინინგის ხარისხიანად წარმართვაზე. საოჯახო მედიცინის ეროვნული ცენტრი გეგმავს კლინიკური აუდიტის ჩატარებას ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა გამოვლენისა და რეფერალის კუთხით და შედეგებიდან გამომდინარე, ხარისხის გაუმჯობესების შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას.

12. 2022 – 2023 წწ

ასოციაცია, საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჯანმოს დაფინანსებით, აქტიურად მონაწილეობდა პროექტში „პირველადი ჯანდაცვის მონაცემთა და ციფრული ჯანმრთელობის აქტივობების მხარდაჭერა საქართველოში“ (World Health Organization Country Office, Georgia - To support data and digital health activities in Georgia 2022-2023), რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

ა) საქართველოში პირველადი ჯანდაცვის დონისთვის ჯანდაცვის მონაცემთა მენეჯმენტში ჩართული დაინტერესებული მხარეებისა და ინსტიტუტების მიერ მონაცემთა მართვის ყველა ფორმის იდენტიფიცირება.

ბ) მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვების ინსტრუმენტის ტესტირება და ადაპტირება (არსებობს მონაცემთა აღრიცხვის ან/და მონაცემთა ანგარიშგების ფორმები და მონაცემთა სისტემები პირველადი ჯანდაცვის სფეროში).

გ) ინფორმაციის/ინდიკატორების აღრიცხვა, მონაცემთა შეგროვების ინსტრუმენტის გამოყენებით.

დ) საქართველოში პირველადი ჯანდაცვის სერვისების ყველა არსებული ანგარიშგების ან/და აღრიცხვის ფორმის სიის შექმნა

და სხვ.

13. 2022 – 2023 წწ

ასოციაციის, ჩეხეთის კარიტასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, განხორციელდა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტი „ყველა ბავშვს უწყვეტი და ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის მომსახურება საქართველოში“, რომლის მთავარი აქტივობებია:

* საქართველოში 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის სერვისების არსებული სიტუაციის ანალიზი, რომელიც მოიცავს ამ სფეროში განხორციელებული კვლევების ანგარიშების მიმოხილვას და ასევე, პროექტის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით შერჩეულ სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების მიწოდების მიმდინარე მოდელის გაცნობას;
* საქართველოში 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის კლინიკური პრაქტიკის ეროვნული სტანდარტების

(პროტოკოლების) დანერგვის ხელშეწყობა UNICEF-ის ფარგლებში შემუშავებული „0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობის“ ელექტრონული მოდულის გამოყენებით;

* საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირის ბაზაზე ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების ფუნქციონირებადი სტრუქტურის (მ.შ. დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესების [Maternal and Child Health Quality Improvement Hub – MCH QI Hub] ჰაბის)) შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მრავალმხრივ აქტივობებს, როგორც უშუალოდ ბავშვთა ჯანმრთელობისა და განვითარებაზე მეთვალყურეობის კლინიკური პროცესების, ისე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური კოორდინაციისა და რეკომენდაციების გაზიარების გზით;
* ხარისხის გაზომვის შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება, ელექტრონული საინფორმაციო სისტემის განვითარების ხელშეწყობა მასში ინტეგრაციის, საჭირო მონაცემთა მოგროვების/ანალიზისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით;
* პირველად ჯანდაცვაში 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორების შემუშავება;
* 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის სერვისების დისტანციური მიწოდების ხელშეწყობა საქართველოს მასშტაბით შერჩეულ 50 სოფლის პჯდ დაწესებულებაში, მტკიცებულებებზე დაფუძნებული „ციფრული ჯანდაცვის საუკეთესო პრაქტიკის მოდელის“ შექმნის გზით.
* შემუშავდა და დაინერგა 2022 წლის 25 ნოემბერს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებული სასწავლო „0-6 წლის ასაკის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე ზედამხედველობა პირველად ჯანდაცვაში“ პროგრამა (#0401 - მიენიჭა I ტიპის 12 ქულა)

14. 2020-2023 წწ

ა(ა)იპ „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი“ აქტიურად იღებს მონაწილეობას პჯდ-სა და მომიჯნავე სფეროებში, კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინი) და ეროვნული სტანდარტების (პროტოკოლების/გზამკვლევების) შემუშავებაში, რეცენზირებასა და დანერგვის პროცესებში.

15. 2020-2023 წწ

ა(ა)იპ „საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი“ „საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრთან“ და ჩეხეთის კარიტასთან მჭიდრო

თანამშრომლობით, აქტიურად მონაწილეობს პირველადი ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემების განვითარებასა და დანერგვის პროცესებში, რათა:

- მეტად გამარტივდეს სისტემის ინტერფეისი;
- გაგრძელდეს სხვადასხვა კომფორტის ელემენტების რეალიზება აღნიშნულ ელექტრონულ სისტემაში;
- ელექტრონული სამედიცინო ჩანაწერების სისტემა სრულ შესაბამისობაში იყოს საქართველოს კანონმდებლობასთან და ასევე, სამედიცინო ჩანაწერების და კლინიკური დოკუმენტაციის წარმოების საერთაშორისო რეკომენდაციებთან;
- სისტემაში ჩაიდოს დამატებითი ალგორითმები, ფლოუ-შიტები და ვალიდაციები;
- მოხდეს ანალიტიკური შესაძლებლობების რეალიზება, ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების მიზნით;
- და სხვ.

16. 2020-2023 წწ

ასოციაცია, ჩეხეთის განვითარების სააგენტო/ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი „პირველადი ჯანდაცვის გაძლიერების ხელშეწყობა საქართველოში“ – 2020-2023 პროექტის ფარგლებში აქტიურად მონაწილეობდა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით.

უფრო კონკრეტულად:

- ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული პირველადი ჯანდაცვის შიდა საინფორმაციო სისტემისადმი ფუნქციონალური საჭიროებების განსაზღვრის პროცესში და პროექტის გუნდთან ერთად, დაიწყო ელექტრონული სისტემის პილოტირების შედეგების შეფასება, შემდგომში კი, მისი დანერგვა დაიწყო ასოციაციის პარტნიორი სამედიცინო დაწესებულების შპს „საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრის“ ბაზაზე.
  მოსაზრებები და დასკვნა, რომელსაც საფუძვლად უდევს საოჯახო მედიცინის ცენტრში სისტემის რეალურ რეჟიმში მუშაობისა და შემდგომში, მისი დანერგვის პროცესებზე.
  დაკვირვების/შედეგების ანალიზი, წარდგენილია ჯანდაცვის სამინისტროში.
  PHC HIS პირველადი ჯანდაცვის შიდა საინფორმაციო სისტემაში უკვე მუშაობს რამდენიმე დაწესებულება და 23 სოფლის ექიმი/ექთანი. აღნიშნული დაწესებულებების მენეჯმენტი და სამედიცინო პერსონალი რეალურ რეჟიმში ახდენენ კლინიკის და სამედიცინო პროცესის სამართავად ყველა საჭირო ინფორმაციის რეგისტრაციას და ანგარიშგებებს სხვადასხვა მიზნით.

- გარდა ამისა, ასოციაცია აქტიურად მონაწილეობდა, პირველადი ჯანდაცვის სამედიცინო ინფორმაციის საცავის (ე.წ. PHC EMR) კონცეფციის შემუშავებაში,

სადაც ინფორმაცია უნდა გროვდებოდეს ლოკალურად არსებული ინფორმაციული სისტემებიდან ანუ პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში ფუნქციონირებადი სხვადასხვა შიდა საინფორმაციო სისტემებიდან.

PHC EMR-ის ინდიკატორები, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში მომზადებულია ასოციაციის მიერ და გაზიარებულია ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამის სამსახურებთან.

შეთანხმების შემდეგ, განხორციელდება აქტიური სამუშაოები ჯანდაცვის სამინისტროს თემატურ სამსახურებთან, სხვადასხვა ანალიტიკური ანგარიშების განსასაზღვრად, რომლის შესახებაც გარკვეული გამოცდილება უკვე დაგროვდა ელექტრონული სისტემების რეალურ რეჟიმში ამუშავების შემდეგ, პროექტში ჩართული სამედიცინო დაწესებულებების მენეჯმენტთან მჭიდრო თანამშრომლობით.

- აღნიშნული პროცესების წარმატებით განხორციელება განაპირობებს აღნიშნული მოდულის ინტეგრაციას სხვადასხვა სამედიცინო საინფორმაციო სისტემებთან, როგორიცაა დაბადების რეგისტრი, 0-6 წლამდე ასაკის ბავშვთა განვითარებაზე მეთვალყურეობა, იმუნიზაციის პორტალი, სკრინინგის პროგრამა, კიბოს რეგისტრი და ა.შ. რათა შესაძლებელი გახდეს ყველა მონაცემის ერთ სისტემაში თავმოყრა და პაციენტების მართვის ოპტიმიზაცია.
- ჯანდაცვის სამინისტროსთვის, ასევე, გაზიარებული გვაქვს მოსაზრებები იმუნიზაციის პორტალის ცვლილებების საჭიროებების შესახებ
- ასევე, აქტიურად მონაწილეობს გაიდლაინების/პროტოკოლების/გზამკვლევების/ უპგ კურსების შექმნის, გადახედვის და რეცენზირების პროცესებში
- და სხვ.

17. 2020-2023 წწ

ასოციაცია, მჭიდროდ თანამშრომლობს ჯანდაცვის სამინისტროსთან, ქრონიკული მედიკამენტების უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება/გადახედვის პროცესებში.

18. 2020-2023 წწ

ასოციაცია, მჭიდროდ თანამშრომლობს ჯანდაცვის სამინისტროსთან და სამედიცინო ჰოლდინგთან, ტელემედიცინის, პირველად ჯანდაცვასა და სოფლად ოჯახის ექიმთან დაკავშირებულ სხვადასხვა (მომსახურებისთვის აუცილებელი მინიმალური მოთხოვნების, სტანდარტების, კომპეტენციების და სხვ. საკითხებში) საკითხებზე.

19. 2023 წელი

ასოციაცია, საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჯანმოს დაფინანსებით, აქტიურად მონაწილეობს პროექტში „პირველადი ჯანდაცვის ცენტრის/სოფლის ამბულატორიების ექიმებისა და ექთნების, რუტინული და COVID-19 იმუნიზაციისა და ვაქცინის კომუნიკაციის ტრენინგების შემდგომი, მხარდამჭერი ზედამხედველობა“, რომელიც მოიცავს 107 პჯდ ცენტრსა და 440 სოფლის ამბულატორიაში, იმუნიზაციაში ჩართულ 2000-მდე პჯდ პერსონალს.

20. 2023 წელი

ასოციაციის, ჩეხეთის კარიტასთან მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, ახორციელებს გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტს „ყველა ბავშვს უწყვეტი და ხარისხიანი პირველადი ჯანდაცვის მომსახურება საქართველოში“, რომლის მთავარი აქტივობებია:

- შერჩეული სოფლის ამბულატორიების შესაძლებლობების გაძლიერება დისტანციური მოვლასა და კონსულტაციების ოპერირებაში
- 46 ამბულატორიის ონლაინ მონიტორინგი
- ფასილიტატორის/კოორდინატორების ხარისხის ერთობლივი სესიების ჩატარება
- რეგულარული ტექნიკური დახმარების გაწევა ხარისხის მონიტორინგის ჩარჩოს განხორციელებაში
- ბავშვის განვითარების მეთვალყურეობის ინდიკატორების გაუმჯობესება/დასრულება და ინტეგრაცია 0-6 ბავშვთა მეთვალყურეობის ელექტრონულ მოდულში
- 0-6 ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების ელექტრონული სისტემის მეშვეობით მიღებული მონაცემების რეგულარული მონიტორინგი და ანალიზი
- 0-6 ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების ელექტრონული სისტემის დახვეწა, საბეჭდი ფორმების გაუმჯობესება, ვიზიტების ელჟურნალის ფორმირებაზე მუშაობა.
- რეგულარული ყოველთვიური თანამშრომლობითი შეხვედრები ხარისხის მენეჯერებთან/ფასილიტატორებთან შედეგებისა და მიღწევების გასაზიარებლად
- რეგულარული ტექნიკური დახმარების გაწევა ხარისხის მონიტორინგის ჩარჩოს განხორციელებაში
- ხარისხის მონიტორინგის სახელმძღვანელოს შემუშავება
- და სხვ.

21. 2023 წელი

ასოციაციამ, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან და საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტრთან გაფორმებული კონტრაქტის ფარგლებში (Supportive supervision of the Primary Health care doctors and nurses following up the Routine and COVID-19 Immunization and vaccine communication training) განახორციელა დამხმარე ზედამხედველობა, როგორც შემდგომი აქტივობა პჯდ პერსონალის იმუნიზაციისა და კომუნიკაციის შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს იმუნიზაციისა და კომუნიკაციის თაობაზე მიღებული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას.

ვაქცინაციის ეროვნული გეგმის წარმატებით დანერგვის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივითა და სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან მჭიდრო კოორდინაციით, 2022-2023 წლებში, საქართველოს ყველა - 10-ვე რეგიონში განხორციელდა 3000-ზე მეტი პჯდ პერსონალის გადამზადება. აღნიშნული პროექტი განხორციელდა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და სხვა დონორების ფინანსური მხარდაჭერით.

აღნიშნული პროექტის მიზანია სამედიცინო პერსონალის მხარდაჭერა და მოტივაცია უკეთესი შედეგების მისაღწევად, ვაქცინაციის შესახებ განახლებული ინფორმაციის მიწოდება, არსებული ხარვეზების იდენტიფიცირება და ერთობლივი მუშაობა მათ აღმოსაფხვრელად.

დამხმარე ზედამხედველობის პერიოდში, პირისპირ დაგეგმილი შეხვედრების გარდა, ოჯახის ექიმებს/ექთნებს შეეძლოთ დისტანციურად მიეღოთ დამხმარე ზედამხედველობა შესაბამისი ფასილიტატორებისგან, რაც იძლეოდა მიმდინარე პრობლემების დროული გადაჭრის საშუალებას. პროექტი განხორციელდა 800 -ზე მეტ ამბულატორისა და 210 პჯდ დაწესებულებაში და მოიცვა 2000-მდე ექიმი და ექთანი.

მხარდამჭერი სუპერვიზია ხელს შეუწყობს განახლებული ვაქცინაციის გეგმის წარმატებით დანერგვასა და იმუნიზაციის მოცვის გაზრდას, ასევე, შემუშავდება და განახლდება ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების და ბავშვთა რეესტრები, და ა.შ.

აღნიშნულ პროექტის განხორციელებისას, ასოციაციის ძირითადი პასუხისმგებლობა მოიცავდა შემდეგ აქტივობებს:

- კონტრაქტის განხორციელების ხარისხის უზრუნველყოფა;
- დამხმარე სუპერვიზიის განხორციელების მიზნით - სტანდარტული ინსტრუმენტების შემუშავებას, მოდიფიცირებას და დანერგვას;
- დამხმარე სუპერვიზიის განხორციელებას პჯდ ცენტრებში;
- დამხმარე სუპერვიზიის შედეგების ანალიზსა და რეკომენდაციების მომზადებას.
- და სხვ.

22. 2023 წელი

ასოციაცია, რეფორმის წარმატებით განხორციელების მიზნით, აქტიურად მონაწილეობდა რეფორმისადმი მიძღვნილ პოლიტიკის შეხვედრებსა და მსოფლიო ჯანმრთელობის ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ოფისის მიერ პოლიტიკის დოკუმენტის (Moving from Policy to Actions) შემუშავებაში.

23. 2023 წელი

ასოციაციამ, სხვადასხვა პროექტების ფარგლებში, პირველადი ჯანდაცვის რეფორმის მხარდასაჭერად, შეიმუშავა და ჯანდაცვის სამინისტროში წარადგინა ეროვნული და ლოკალური დონის ინდიკატორების ნაკრებები, სხვადასხვა სერვისების ხარისხის გაზომვის მიზნით, რომლებიც ინტეგრირებული იქნება ელექტრონულ საინფორმაციო სისტემებში და რაც ხელს შეუწყობს შედეგებზე დაფუძნებული ანაზღაურების სისტემის დანერგვას. ეს ინდიკატორებია:

- პირველად ჯანდაცვაში გავრცელებული, არაგადამდები დაავადებების მართვის ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორები (კარდიო-ვასკულური, დიაბეტი, ასთმა, ფქოდი და ა.შ.)
- 2 წლამდე ასაკის ბავშვთა კვების მ.შ. ძუძუთი კვების ინდიკატორები - ყველა დონისთვის
- 0-6 წლის ბავშვთა ჯანმრთელობასა და განვითარებაზე მეთვალყურეობის სტანდარტები (ხარისხის შესაფასებელი ინდიკატორები- დაწესებულების დონეზე მონიტორინგისთვის)

24. 2023 წელი

ასოციაცია, ჯანდაცვის მთავრობასთან, საოჯახო მედიცინის ეროვნულ სასწავლო ცენტთან მჭიდრო თანამშრომლობით და ჯანმოს დაფინანსებით (Support development of a standard of care framework, core competences and NCD management standards for telemedicine services in Georgia -2023), აქტიურად მონაწილეობს პროექტში „საქართველოში ტელემედიცინის სერვისების მოვლის სტანდარტის, ძირითადი კომპეტენციებისა და არაგადამდები დაავადებების ტელემედიცინის საშუალებით მართვის სტანდარტების შემუშავების მხარდაჭერა“, რომლის ფარგლებშიც შემუშავებულია ტელეკონსულტაციების სერვისების მიწოდებისათვის აუცილებელი ძირითადი კომპეტენციები და სახელმძღვანელო ტელეკონსულტაციებისთვის:

1. ძირითადი კომპეტენციები - ტელეკონსულტაციების სერვისების მიწოდება საქართველოში
2. საქართველოში ტელემედიცინის იმპლემენტაცია - არაგადამდები დაავადებების შეფასება და მიმდინარე მეთვალყურეობა - სახელმძღვანელო